სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა/Public Administration
პროგრამის ხელმძღვანელი	გიორგი გორაძე, ლიანა გიორგაძე,
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი/Master of Public Administration საჯარო მმართველობის კვლევის მაგისტრი/Research Master in Public Administration
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება 60 კრედიტიანი ნაწილებისგან (პირველი და მეორე ნაწილი).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	14.02.2020 №03-20
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	24.06.2026 №05-26

პროგრამის მიზანი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის (60 ECTS) მიზანია სტუდენტს:

(A) შესძინოს მულტიდისციპლინური, ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის, მისი საკონსტიტუციო რეგულირების, თანამედროვე კონცეფციების, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტების, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო ფინანსების მართვის, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, ასევე პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების შესახებ;

(B) შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის, ასევე ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ;

(C) ჩამოაყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების მქონე პროფესიონალი და კეთილსინდისიერი საჯარო მმართველები და მოსამსახურეები, რომელთაც შეეძლებათ ხელი შეუწყონ საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტურ მუშაობას, ინოვაციური მიდგომების გამოყენებით მონაწილეობა მიიღონ მის მდგრად განვითარებაში.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS) მიზანია სტუდენტს:

(D) შესძინოს, საჯარო მმართველობის პრობლემების სიღრმისეული ანალიზისა და გადაწყვეტის მიზნით, აკადემიური წერის ტექნიკისა და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით, სამეცნიერო კვლევის უნარი.

სწავლის შედეგები

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (60 ECTS) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

(A) სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის პრინციპებს, კონცეფციებსა და ფუნქციებს, საჯარო მმართველობის საკონსტიტუციო რეგულირებასა და მისი განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტებს, საჯარო მმართველობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცესს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, პრინციპებს და საჯარო ორგანოს საქმიანობის ძირითად ფორმებს, საჯარო ფინანსების მართვის მექანიზმებს, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის თანამედროვე მოდელებს, კრიტიკულად იაზრებს საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს;

(B) ფლობს სისტემურ ცოდნას საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ძირითადი ასპექტების, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საკონსტიტუციო სტატუსისა და უფლება-მოვალეობების, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის, ფუნქციებისა და მისი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართების, საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტებისა და აქტუალური პრობლემების შესახებ.

(C) კომპლექსურად აფასებს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებს და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს, გამოავლენს საჯარო სამსახურში არაეთიკურ ქმედებებსა და ახდენს მათი ჩამდენი პირების იდენტიფიცირებას და იცავს საჯარო სამსახურის ინტერესებს ეთიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. დამოუკიდებლად აფასებს რისკ-ფაქტორებს და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ახდენს მათ შეფასებას, ანალიზს და აყალიბებს რეაგირების მექანიზმებს. კრიტიკულად აანალიზებს საჯარო ფინანსების სისტემის თავისებურებებს და ეძებს ბიუჯეტების რეალიზების ეფექტურ საშუალებებს;

(D) შეიმუშავებს სტრატეგიული მართვისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებს, გეგმავს და მონაწილეობას იღებს საჯარო მმართველობის სფეროში კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებლობით განსაზღვრულ წარმოებაში, განსაზღვრავს საზოგადოებასთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის ინსტრუმენტებს.

(E) იყენებს მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ პროცესებში და დამოუკიდებლად იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საჯარო სამსახურში, საჯარო სამსახურის ღირებულებების, პრინციპებისა და ეთიკის ზოგადი წესების დაცვით;

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ასევე:

(F) ახდენს პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა, სამართლებრივი აქტებისა და საჯარო მმართველობისათვის მნიშვნელოვანი სხვა დოკუმენტების განზოგადებული ანალიზითა და ინტერპრეტირებით, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვას, აგროვებს პირველად მონაცემებს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამოიცნობს სამეცნიერო კვლევის შესრულებისთვის საჭირო სამართლებრივი კვლევის მეთოდებს.

(G) აანალიზებს საჯარო მმართველობის ეთიკურ, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებს, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ შედეგებს და საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს

დემოკრატიული სახელმწიფოს „კარგი მმართველობის“ სისტემის ჩამოყალიბებასა და მის სამომავლო განვითარებაში, კონსტიტუციური წესრიგისა და ადამიანის ძირითადი უფლებების გათვალისწინებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (120 ECTS) ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების და გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge).

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ერთ-ერთ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON, შესაბამისი შეფასებებით. ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ან სრული ერთი სემესტრი მაინც.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**

შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში - სამინისტროში, სსიპში, სსდ-ში, სხვა სამთავრობო ორგანიზაციაში, ნებისმიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, როგორც მაღალი, ისე საშუალო და დაბალი რანგის ნებისმიერი პოზიციაზე/თანამდებობაზე, ასევე, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში, არასამათავრობო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა რაიმე სახით დაკავშირებულია საჯარო მმართველობის კვლევასა და განვითარებასთან.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის (60 ECTS) კურსდამთავრებულს უფლება აქვს, სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა განაგრძოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე (60 ECTS), თუ პირველ ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 წელი. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS) კურსდამთავრებულს კი – საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო მმართველობის ან სხვა სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული

კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (120 ECTS) შედგება 60-60 კრედიტის მოცულობის მქონე ორი ნაწილისგან.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილი (60 ECTS) მოიცავს **სასწავლო კომპონენტს,** რომელიც წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების და არჩევითი სასწავლო კურსების სახით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილი (60 ECTS) მოიცავს **სასწავლო** და **სამეცნიერო-კვლევით** კომპონენტებს. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS) სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის სახით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თითოეულ მოდულში პროგრამით გათვალისწინებული დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობის დაცვის გარეშე. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებისას.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (60 ECTS) სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 54 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 6 კრედიტი. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსი როგორც საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS) სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია საჯარო მმართველობის მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით წერითი და ზეპირი კვლევითი, პირველადი და მეორეული წყაროების მოძიების, დამუშავების, დამოუკიდებელი კვლევის, სამეცნიერო-ანალიტიკური უნარის გამომუშავებაზე.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS) არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 6 კრედიტი. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსი როგორც საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან.

სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის

უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი					
			I	II	III	IV		
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი (60 ECTS)								
სასწავლო კომპონენტი								
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	წინაპირობის გარეშე	საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის სისტემა		9/225			41	184
2.	წინაპირობის გარეშე	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და	6/150				40	110

		ადგილობრივი თვითმმართველობა						
3.	წინაპირობის გარეშე	ადმინისტრაციული წარმოება		9/225			42	183
4.	წინაპირობის გარეშე	ეკონომიქსი	6/150				28	122
5.	ეკონომიქსი	საჯარო ფინანსების მართვა		6/150			41	109
6.	წინაპირობის გარეშე	სტრატეგიული და პოლიტიკური დაგეგმვა საჯარო სამსახურში		6/150			42	108
7.	წინაპირობის გარეშე	ინტეგრირებული მენეჯმენტი: კონცეფციები და სტრატეგია	6/150				27	123
8.	წინაპირობის გარეშე	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია	6/150				41	109
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები								
1.	წინაპირობის გარეშე	საჯარო მმართველობის კონტროლის მექანიზმები	3/75		3/75		21	54

2.	წინაპირობის გარეშე	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	6/150		6/150		41	109
3.	წინაპირობის გარეშე	დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზარი	6/150		6/150		29	121
4.	წინაპირობის გარეშე	ლიცენზიები და ნებართვები	3/75		3/75		17	58
5.	წინაპირობის გარეშე	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი	3/75		3/75		20	55
6.	წინაპირობის გარეშე	პრივატიზების სამართალი	3/75		3/75		17	58
7.	წინაპირობის გარეშე	საჯარო და კერძო თანამშრომლობა	3/75		3/75		19	56
8.	წინაპირობის გარეშე	მდგრადი განვითარება და ცირკულარული ეკონომიკა	3/75		3/75		16	59
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი (60 ECTS)								
სასწავლო კომპონენტი								
სავალდებულო სასწავლო კურსები								

1.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის			6/150		28	122
2.	წინაპირობის გარეშე	თვისებრივი კვლევის მეთოდები			6/150		42	108
3.	წინაპირობის გარეშე	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით			6/150		42	108
4.	წინაპირობის გარეშე	ბიზნესის სტატისტიკა			6/150		28	122
არჩევითი სასწავლო კურსები								
საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (60 ECTS) არჩევითი სასწავლო კურსები.								
კვლევითი კომპონენტი								
1.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის; თვისებრივი კვლევის მეთოდები; რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა	სამაგისტრო ნაშრომი				30/750	9	741

	ანალიზი SPSS-ის გამოყენებით; ბიზნესის სტატისტიკა							
		სემესტრში	30	30	30	30		
		წელიწადში	60		60			
		სულ	120					

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა							
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები						
	A	B	C	D	E	F	G
პროგრამის მიზანია: შესძინოს მულტიდისციპლინური, ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის, მისი საკონსტიტუციო რეგულირების, თანამედროვე კონცეფციების, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტების, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო ფინანსების მართვის, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, ასევე პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების შესახებ;	√						
პროგრამის მიზანია: შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის, ასევე ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ.		√					
პროგრამის მიზანია: ჩამოაყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების მქონე პროფესიონალი და კეთილსინდისიერი საჯარო მმართველები და მოსამსახურეები, რომელთაც შეეძლებათ ხელი შეუწყონ საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტურ მუშაობას, ინოვაციური მიდგომების გამოყენებით მონაწილეობა მიიღონ მის მდგრად განვითარებაში.			√	√	√		

პროგრამის მიზანია: შესძინოს, საჯარო მმართველობის პრობლემების სიღრმისეული ანალიზისა და გადაწყვეტის მიზნით, აკადემიური წერის ტექნიკისა და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით, სამეცნიერო კვლევის უნარი.						√	√

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა									
№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი	პროგრამის სწავლის შედეგები						
			A	B	C	D	E	F	G
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი (60 ECTS)									
1.	საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის სისტემა	D	+	+	+	+			
2.	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და ადგილობრივი თვითმმართველობა	D		+					
3.	ადმინისტრაციული წარმოება	D	+			+	+		
4.	ეკონომიქსი	I D			+				
5.	საჯარო ფინანსების მართვა	D			+	+			
6.	ინტეგრირებული მენეჯმენტი: კონცეფციები და სტრატეგია	D	+		+		+		
7.	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია	D	+			+		+	
8.	სტრატეგიული და პოლიტიკური დაგეგმვა საჯარო სამსახურში	D		+	+	+	+		

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი (60 ECTS)										
1.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის	P	M					+	+	+
2.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	P	M						+	+
3.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	P	M						+	+
4.	სტატისტიკა ბიზნესისთვის	D	P	+				+		
5.	სამაგისტრო ნაშრომი	P	M	+	+	+		+	+	+

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

#	საგანი	სწავლის შედეგები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის სისტემა	+	+	
2.	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და ადგილობრივი თვითმმართველობა	+	+	
3.	ადმინისტრაციული წარმოება	+	+	
4.	ეკონომიქსი	+	+	
5.	საჯარო ფინანსების მართვა	+	+	
6.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის	+	+	+
7.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	+	+	+
8.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	+	+	+
9.	სტრატეგიული და პოლიტიკური დაგეგმვა საჯარო სამსახურში	+	+	
10.	ინტეგრირებული მენეჯმენტი: კონცეფციები და სტრატეგია	+	+	+
11.	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია	+	+	
12.	ბიზნესის სტატისტიკა	+	+	+
13.	სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები			

1.	საჯარო მმართველობის კონტროლის მექანიზმები	+	+	+
2.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	+	+	
3.	დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზარი	+	+	
4.	ლიცენზიები და ნებართვები	+	+	
5.	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი	+	+	
6.	პრივატიზების სამართალი	+	+	
7.	საჯარო და კერძო თანამშრომლობა	+	+	
8.	მდგრადი განვითარება და ცირკულარული ეკონომიკა	+	+	+